ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1023267

ნომერი: AR1179979

თარიღი : 25.11.2013

გაცემის თარიღი : 02.12.2013

გაცნობის თარიღი : 02.12.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ქუჩულორია პ/ნ 01010009715
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 10 ბ. 21

ორგანიზაცია:

- შპს `ჯეოესტი` კოდი: 220374235

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის 2013 წლის 19 ნოემბრის #1004665 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 25 ნოემბრის #AR1179979 განცხადებით მომართა მალხაზ ქუჩულორიამ და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 19 ნოემბრის #1004665 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 ნოემბრის #1004665 ბრძანებით, ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის ქ. #34–ში, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც შესაბამისად, აისახა სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში. კერძოდ, 2013 წლის 19 ნოემბრის #1004665 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტში არასწორად იქნა დაფიქსირებული საპროექტო ობიექტის სხვადასხვა დანიშნულების ფართობების ციფრობრივი მაჩვენებლები, რაც გამოწვეული იქნა მე–13 სართულზე მანსარდის ფართობისა და –5.20 და -2.60 ნიშნულებზე ავტოსადგომისა და დამხმარე სათავსების ფართობის გამორჩენით. ამასათან, ბინების ფართობი დათვლილი იქნა ტიხრების გამოკლებით, ხოლო კორექტირებული ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ბინების ფართობი მოცემულია ტიხრების ჩათვლით.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, რომლის მიხედვით, საცხოვრებელი ფართობი არის 10812.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობი – 1039.25 კვ.მ, მანსარდის ფართობი – 732.11 კვ.მ, კიბისა და სადარბაზოს ფართობი – 1544.6 კვ.მ, ავტოსადგომების ფართობი – 1679.81 კვ.მ, ხოლო დამხმარე სათავსების ფართობი – 50.27 კვ/მ, აქედან გამომდინარე იცვლება საერთო ფართობიც და იქნება 15858.24 კვ/მ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა გადაამოწმა წარმოდგენილი გასწორებული საპროექტო დოკუმენტაცია და მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს მალხაზ ქუჩულორიას 2013 წლის 25 ნოემბრის #AR1179979 განცხადება;

2.შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 ნოემბრის #1004665 ბრძანებაში. კერძოდ, ბრძანების ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლებში საერთო ფართობი, საცხოვრებელი, საზაფხულო, მანსარდის, ავტოსადგომის, დამხმარე სათავსების, კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- საერთო ფართობი: 15858.24 კვ.მ
- საცხოვრებელი ფართობი: 10812.2 კვ.მ
- საზაფხულო ფართობი: 1039.25 კვ.მ
- მანსარდის ფართობი – 732.11 კვ.მ
- კიბისა და სადარბაზოს ფართობი – 1544.6 კვ.მ

- ავტოსადგომების ფართობი – 1679.81 კვ.მ
- დამხმარე სათავსების ფართობი – 50.27 კვ.მ

3.ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 ნოემბრის #1004665 ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 19 ნოემბრის #1004665 ბრძანებასთან ერთად;

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.